



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

„ადამიანის უფლებადამცველთა საკითხებზე მუშაობის სახელმძღვანელო“

## ს ა რ ზ ე ვ ი

1. შესავალი.....	3
2. უფლებადამცველთა განმარტება .....	4
3. ადამიანის უფლებათა დამცველების საქმიანობის მნიშვნელობა.....	7
4. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი უფლებადამცველთა დაცვაში .....	9
4.1. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) პუბლიკაცია	10
4.2. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის (GANHRI) მარაკემის დეკლარაცია.....	12
5. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მეთოდოლოგია უფლებადამცველთა დაცვისა და მათი საქმიანობის ხელშეწყობისთვის .....	14

## 1. შესავალი

უფლებადამცველთა დაცულობის უზრუნველსაყოფად შექმნილი საერთაშორისო გარანტიების მიუხედავად,<sup>1</sup> მსოფლიოში იზრდება მათზე თავდასხმის, დაშინების, დევნის, გაკონტროლების, ცილისწამების, სტიგმატიზაციის, თვითნებური დაკავების, იძულებითი გაუჩინარებისა და მკვლელობის შემთხვევები.<sup>2</sup> უფლებადამცველებს ხშირად ეზღუდებათ გადაადგილების, გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება.<sup>3</sup> განსაკუთრებული რისკის წინაშე დგას ქალთა და ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა უფლებადამცველები, რადგან მათი საქმიანობა საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების შეცვლას გულისხმობს.<sup>4</sup>

ბოლო წლებში საქართველოშიც იყო შემთხვევები, როდესაც დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე (კორუფციის პრევენცია, ადამიანის უფლებების დაცვა, სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობა, არჩევნების მონიტორინგი...) მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, მათი ხელმძღვანელი პირები, თუ ცალკეული აქტივისტები თავდასხმის ობიექტები გახდნენ, მათ შორის, ხელისუფლების მხრიდან.<sup>5</sup> ქვეყანაში უფლებადამცველების წინაშე არსებული გამოწვევები საქართველოს სახალხო დამცველმა პირველად 2018 წელს შეაფასა საპარლამენტო ანგარიშის დამოუკიდებელი თავით.

დღეისათვის ეროვნულ დონეზე უფლებადამცველთა დაცულობის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არ აღირიცხება სტატისტიკური მონაცემები უშუალოდ უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად დაწყებულ გამოძიებებზე,<sup>6</sup> რაც ხელს უშლის მსგავსი

---

<sup>1</sup> მათ შორის, გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (CSCE) ადამიანური განზომილების კონფერენციის 1990 წლის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2014 წლის სახელმძღვანელო უფლებადამცველების დაცვის თაობაზე და 2015 წლის სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების თაობაზე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის №2225 რეზოლუცია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ.

<sup>2</sup> იხ. უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ყოველწლიური ანგარიშები, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2yqNe8x>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020]; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) №29 საინფორმაციო ბიულეტენი ადამიანის უფლებების დამცველების თაობაზე, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2URugiU>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020]; Amnesty International-ის 2019 წლის ანგარიში „უფლებადამცველთა დაცვა?“, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/39L3i2c>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020]; Front Line Defenders-ის 2019 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2X5szkU>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020]; ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ 2018 წელს ორგანიზებული ადამიანის უფლებათა დამცველების მსოფლიო სამიტის ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2wdRXda>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020];

<sup>3</sup> უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისა და მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2wPAYOL>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>4</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის 2013 წლის №A/RES/68/181 რეზოლუცია ქალთა უფლებადამცველების დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2udG0D5>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>5</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 165, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2UEk52x>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020], საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 250, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2VbZstJ>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>6</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 8 იანვრის №46621 წერილი.

ფაქტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას და მათზე რეაგირების ეფექტიანობის შეფასებას.

საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავს უფლებადამცველთა ცნებას, რაც არაერთ პრობლემას ქმნის მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების სრულფასოვანი იდენტიფიცირების, შესაბამისი სტატისტიკის წარმოებისა და მათი დაცულობის უზრუნველსაყოფად სათანადო ღონისძიებების დასაგეგმავად.

უფლებადამცველთა დაცვის სფეროში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, შეედგინა წინამდებარე განმარტებითი მეთოდოლოგიური ხასიათის დოკუმენტი. მასში განმარტებულია უფლებადამცველთა ცნების საერთაშორისო სტანდარტი, მათი საქმიანობის არსი და ამ მიმართულებით სახელმწიფოსთვის დაკისრებული ვალდებულებები; გამოკვეთილია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი და ფუნქციები, ასევე, ის ღონისძიებები, რომლის გატარებასაც სახალხო დამცველის აპარატი უფლებადამცველთათვის უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით აპირებს.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, უფლებადამცველთა მდგომარეობის მონიტორინგის გაუმჯობესებისთვის აპარატის თანამშრომლებს ჩაუტარდათ 3-დღიანი ინტენსიური ტრენინგი ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) წარმომადგენლების მიერ. ტრენინგის ფარგლებში, განხილულ იქნა უფლებადამცველთა დაცულობის საერთაშორისო სტანდარტები, ეფექტიანი მონიტორინგისა და ანგარიშგების მეთოდები.

## 2. უფლებადამცველთა განმარტება

ადამიანის უფლებათა დამცველების თაობაზე გაეროს დეკლარაციის თანახმად, „უფლებადამცველი არის ადამიანი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად მოქმედებს ადამიანის უფლებების დაცვის, რეალიზებისა და ხელშეწყობისთვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.“<sup>7</sup>

ინდივიდ(ებ)ის უფლებადამცველად მიჩნევისათვის, უნდა გავითვალისწინოთ საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ განსაზღვრული შემდეგი დამატებითი კრიტერიუმები:

**1. უფლებადამცველად შეიძლება აღიარებულ იქნას პირი, ვინც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად, აღიარებს ადამიანის უფლებათა უნივერსალურობას ყველასთვის,<sup>8</sup> განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეთნიკური, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა**

<sup>7</sup> გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველთა შესახებ, მუხლი 1, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www.ohchr.org/Documents/Issues/Defenders/Declaration/declaration.pdf>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>8</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, პარ.2, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2XaBO3e>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

მდგომარეობისა.<sup>9</sup> თუკი პირი უარყოფს გარკვეული უფლებების არსებობას, იგი არ მიიჩნევა უფლებადამცველად, იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა იცავდეს სხვა პირთა უფლებებს.<sup>10</sup>

**2. აუცილებელია, უფლებადამცველი მოქმედებდეს ადამიანის უფლებების დაცვის, რეალიზებისა და ხელშეწყობისთვის მშვიდობიანი საშუალებებით<sup>11</sup>, არ ძალადობდეს, ან ეწეოდეს მის პროპაგანდას.<sup>12</sup>**

კლასიკური გაგებით, უფლებადამცველად იმ პირებს მოიაზრებენ, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვას და ხელშეწყობას.<sup>13</sup> მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები, რომლებიც უშუალოდ იცავენ ადამიანის უფლებებს, ასევე მუშაობენ კორუფციის პრევენციის, სახელმწიფო უწყებების საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, საარჩევნო პროცესის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვისა თუ დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს სხვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც, საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობაზე აისახება. მათი საქმიანობა, შესაძლოა, ატარებდეს აგრეთვე საგანმანათლებლო ხასიათს.

სტანდარტის თანახმად, ცნება კიდევ უფრო ფართო შინაარსისაა. უფლებადამცველად მიჩნევისთვის, ყურადღება არ მიექცევა პირის პროფესიულ თუ სხვაგვარ სტატუსს;<sup>14</sup> მოქმედებს დამოუკიდებლად, თუ რომელიმე არაფორმალური ჯგუფის ან არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით; მოხალისეა, თუ პროფესიული საქმიანობისთვის იღებს შესაბამის ანაზღაურებას.<sup>15</sup>

შესაბამისად, ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების გარდა, უფლებადამცველი შესაძლოა იყოს ისეთი პროფესიების წარმომადგენლებიც, რომელთა ძირითადი აქტივობები, შესაძლოა, არ გულისხმობდეს ადამიანის უფლებებზე მუდმივად მუშაობას; ჰქონდეს მასთან პერიოდული ურთიერთობა;<sup>16</sup>

ამდენად, ადამიანის უფლებათა დამცველები, შესაძლოა იყვნენ, იურისტები, პროფკავშირის წევრები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების თანამშრომლები, ჟურნალისტები, საჯარო

<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 2, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/349HNGN>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>10</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), საინფორმაციო ბიულეტენი №29 უფლებადამცველების თაობაზე, აპრილი 2004, გვ. 9, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2UIDIq2>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>11</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, პარ.2.

<sup>12</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, პარ.2; ევროკავშირის სახელმძღვანელო უფლებადამცველების შესახებ, პარ. 3, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3c64xKX>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>13</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), საინფორმაციო ბიულეტენი №29 უფლებადამცველების თაობაზე, აპრილი 2004, გვ.6.

<sup>14</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, პარ.5, გვ. 24.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>16</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), საინფორმაციო ბიულეტენი №29 უფლებადამცველების თაობაზე, აპრილი 2004, გვ.7.

მოხელეები, სამედიცინო პროფესიის წარმომადგენლები, სტუდენტები.<sup>17</sup> საგულისხმოა, რომ ისინი შეიძლება იყვნენ მამხილებლებიც,<sup>18</sup> რომლებიც ამჟღავნებენ ინფორმაციას უფლებადარღვევის ფაქტების შესახებ.<sup>19</sup>

მსოფლიოს მასშტაბით, მრავალი ადამიანი სხვადასხვა გზით იბრძვის ადამიანის უფლებათა რეალიზებისთვის, თუმცა მათი უფლებადამცველად მიჩნევისთვის, განმსაზღვრელია, თუ როგორ მოქმედებენ ისინი უფლებათა ხელშეწყობისთვის და, ზოგიერთ შემთხვევაში, გასწევენ თუ არა „განსაკუთრებულ ძალისხმევას“.<sup>20</sup> ამგვარ ძალისხმევად შესაძლოა განიმარტოს ადამიანის უფლებათა დაცვის, რეალიზებისა და ხელშეწყობისკენ მიმართული საქმიანობის განხორციელება სხვადასხვა გავლენიანი პირისა თუ სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, აგრეთვე, უფლებებთან დაუკავშირებელი პროფესიული საქმიანობის დაგეგმვა იმგვარად, რომ აღნიშნული ხელს უწყობდეს ადამიანის უფლებების დაცვას და სხვ.

უფლებადამცველთა საქმიანობა მრავალფეროვანია. ისინი შესაძლოა მუშაობდნენ ყველა უფლების დაცვაზე, უფლებათა სპეციფიურ საკითხებზე ან/და კონკრეტული ჯგუფის უფლებებზე (მაგ. ქალთა უფლებები); ზოგიერთი მათგანი ფოკუსირებას ახდენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მომწესრიგებელი კანონმდებლობის განვითარებასა და დაცვაზე; სხვები სთავაზობენ მომსახურებას დაზარალებულებს ან ეხმარებიან ინდივიდებს საკუთარი უფლებების დაცვაში; ნაწილი ჩართულია სწავლების, ადვოკატირებისა და საჯარო კამპანიების, აგრეთვე მონიტორინგის, ანგარიშგების ან/და გადაცდომათა გამოვლენის პროცესში.<sup>21</sup> შესაბამისად, **მთავარი ასპექტი, რაც განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა დამცველს არის არა ის, თუ ვინ არიან, არამედ - რას აკეთებენ და რა პრინციპებს უჭერენ მხარს.**<sup>22</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უფლებადამცველად მიჩნევისთვის, **მხედველობაში არ მიიღება, სწორია/მართებულია თუ არა ის არგუმენტები, რომელსაც პირი იყენებს.** არამედ, საყურადღებოა, იცავს თუ არა იგი რაიმე უფლებას ან/და უწყობს თუ არა ხელს მათ დაცვას.<sup>23</sup>

<sup>17</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, პარ.7, გვ. 25.

<sup>18</sup> „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20<sup>1</sup> მუხლის თანახმად, მამხილებლის ქვეშ მოიაზრებიან პირები, რომლებიც ახდენენ განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან/და საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმირებას საჯარო მოსამსახურის (მხილებულის) მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ეთიკისა და ქვეყნის ზოგადი წესების შემცველი ნორმების დარღვევის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელმაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება მიაყენოს საჯარო ინტერესს ან შესაბამისი საჯარო დაწესებულების რეპუტაციას (მხილება). მხილებად ჩაითვლება აგრეთვე მამხილებლის მიერ ზემოაღნიშნული დარღვევის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

<sup>19</sup> იქვე, პარ.16, გვ. 27.

<sup>20</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), საინფორმაციო ბიულეტენი №29 უფლებადამცველების თაობაზე, აპრილი 2004, გვ.7-8.

<sup>21</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, , პარ.6, გვ. 24.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> უფლებადამცველების საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2V4714e>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) მითითებით, ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ სტრატეგიებისა თუ პოლიტიკის განვითარებისას, სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ ადამიანის უფლებათა დამცველების ცნების ფართო განმარტება, გაეროს დეკლარაციის შესაბამისად.<sup>24</sup>

ცალკე უნდა გამოვყოთ ქალი და ლგბტ+ უფლებადამცველები. მათი უმრავლესობა განიცდის შვეიწროებასა და ძალადობას თავისი საქმიანობის გამო, ერთი მხრივ, ტაბუდადებულ თემებზე საუბრის, დუმილის კულტურის დარღვევისა და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების შეცვლაზე მიმართული მუშაობის გამო, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ზოგადი მიზოგინიისა და ჰომოფობიის გამო, რაც საზოგადოებაშია გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 2013 წლის 4 ნოემბერს მიიღო ცალკე რეზოლუცია ქალი უფლებადამცველების დაცვის შესახებ.<sup>25</sup> რეზოლუციის თანახმად, ესენი არის როგორც ქალ უფლებადამცველები, ისე ნებისმიერ სხვა უფლებადამცველი რომელიც ქალთა უფლებების გაუმჯობესებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის მუშაობს. (A/HRC/16/44)

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი მისი საქმიანობის მიზნებისთვის, უფლებადამცველად მიიჩნევს ყველა ადამიანს, პროფესიული თუ სხვაგვარი სტატუსის მიუხედავად, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად, მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებით, მოქმედებს ადამიანის უფლებების დაცვის, რეალიზებისა და ხელშეწყობისთვის ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე და აღიარებს ადამიანის უფლებათა უნივერსალურობას განურჩევლად ყველასთვის.

### 3. ადამიანის უფლებათა დამცველების საქმიანობის მნიშვნელობა

უფლებადამცველების როლი კრიტიკულია ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიმართულებით.<sup>26</sup> დიდია მათი როლი სახელმწიფო პოლიტიკის ადამიანის უფლებათა შესაბამისად წარმართვისა, ხელისუფლების წარმომადგენელთა ანგარიშვალდებულების, სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო შეთანხმებების იმპლემენტაციის თუ უფლებების შესახებ ცნობიერების ზრდის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.<sup>27</sup> ამავდროულად, მათი საქმიანობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გაეროს წევრი ქვეყნების მიერ შეთანხმებული მდგრადი განვითარების დღის წესრიგით<sup>28</sup> გათვალისწინებული

<sup>24</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, პარ.10, გვ. 25.

<sup>25</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, რეზოლუცია ქალი ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ, 4 ნოემბერი, 2013, A/C.3/68/L.64, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2WNzEWM>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2020].

<sup>26</sup> იხ. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის, ევროპის საბჭოს და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია: <<https://bit.ly/36GAaY4>>, <<https://bit.ly/37CVhVW>>; <<https://bit.ly/2GzVbsT>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 რეზოლუციით დამტკიცებული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტი, სახელწოდებით, „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3bTu6yv>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020]

მიზნების შესრულებას, რაც სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევების დაძლევის ემსახურება.

*მაგალითად გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ უფლებადამცველებს ანიჭებს უფლებას: დაიცვან უფლებები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; განახორციელონ უფლებადაცვითი საქმიანობა ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად; შექმნან გაერთიანებები და არასამთავრობო ორგანიზაციები; შეკრიბონ მშვიდობიანად; მოიძიონ, მიპოვონ, მიიღონ და ფლობდნენ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას; განავითარონ და იმსჯელონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ იდეებსა და პრინციპებზე და მოახდინონ მათი ადვოკატირება; საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, გააკრიტიკონ სახელმწიფო უწყებები და მიმართონ მათ შესაბამისი წინადადებებით, ასევე ყურადღება მიაპყრონ მათი საქმიანობის იმ ასპექტებზე, რომლებიც ხელს უშლის ადამიანის უფლებების რეალიზებას; გაასაჩივრონ იმგვარი პოლიტიკა თუ ქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან; შესთავაზონ და მიაწოდონ პროფესიული და კვალიფიციური სამართლებრივი დახმარება ან სხვაგვარი რჩევა და მხარდაჭერა ადამიანის უფლებათა დაცვის ფარგლებში; დაესწრონ საჯარო განხილვებს, წარმოებებს და სასამართლო პროცესებს, რათა შეაფასონ მათი შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებთან; ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა და კომუნიკაცია არასამთავრობო და მთავრობათშორის ორგანიზაციებთან; ისარგებლონ უფლების აღდგენის ეფექტიანი საშუალებებით; ეფექტიანად იყვნენ დაცული ეროვნული კანონმდებლობით, როდესაც მშვიდობიანი საშუალებებით ახდენენ სახელმწიფოს იმ ქმედებებისა თუ გადაცდომების კრიტიკას, რომლებიც ადამიანის უფლებათა დარღვევაში გამოიხატება; მოითხოვონ, მიიღონ და გამოიყენონ რესურსები ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით (მათ შორის, მიიღონ დაფინანსება უცხოური წყაროებისგან).*

უფლებადამცველების საქმიანობის ხელშესაწყობად, გაერო,<sup>29</sup> ეუთო,<sup>30</sup> ევროპის საბჭო<sup>31</sup> და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოებს სხვადასხვა სახის ვალდებულებას უწესებენ. ძირითადად, ხელისუფლებას ეკისრება, თავი შეიკავოს უფლებადამცველთა საქმიანობის გამო მათი უფლებების დარღვევისკენ მიმართული ნებისმიერი ქმედებისგან; დაიცვას უფლებადამცველები მესამე პირების მხრიდან განხორციელებული თავდასხმებისგან; და გაატაროს პროაქტიული

<sup>29</sup> გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ დეკლარაცია სახელმწიფოებს უდგენს არაერთ ვალდებულებას: დაიცვან ადამიანის უფლებები და ხელი შეუწყონ მათ დაცვას ყველა საჭირო ღონისძიების გატარების გზით; უზრუნველყონ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირების მიერ ყველა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვაგვარი უფლებებითა და თავისუფლებებით პრაქტიკული სარგებლობა; გაატარონ იმგვარი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვაგვარი ღონისძიებები, რაც საჭიროა უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად; შესთავაზონ უფლების აღდგენის ეფექტიანი საშუალებები იმ პირებს, რომლებიც თავს მიიჩნევენ უფლებადარღვევის მსხვერპლებად; აწარმოონ სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის საქმეებზე; გაატარონ ყველა აუცილებელი ღონისძიება, რათა უზრუნველყონ ყველა პირის დაცულობა ძალადობის, მუქარის, ანგარიშსწორების, დისკრიმინაციის, ზეწოლის და სხვა თვითნებური ქმედებებისგან, რაც უკავშირდება მათ მიერ იმ უფლებებით სარგებლობას, რომლებზეც საუბარია წინამდებარე დეკლარაციაში; ხელი შეუწყონ საზოგადოებისთვის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების თაობაზე ცნობიერების ზრდას; უზრუნველყონ და მხარი დაუჭიროს ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტების შექმნას და განვითარებას; ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა სწავლებას როგორც ფორმალური განათლების, ასევე პროფესიული ტრენინგების გზით.

<sup>30</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ, 2014.

<sup>31</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის №2225 რეზოლუცია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ.



ღონისძიებები უფლებადამცველთა მიერ საკუთარი უფლებების (მათ შორის, მათი მხრიდან ადამიანის უფლებათა დაცვის) სრული რეალიზაციის ხელშესაწყობად.

მათ შორის, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა შექმნან უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემო (enabling environment), რომელშიც ადამიანის უფლებათა დამცველებს ექნებათ დაუცველობისა და დაბრკოლებებისგან თავისუფალი მოქმედების საშუალება.<sup>32</sup> გაეროს სპეციალური მომხსენებლის მითითებით, ამგვარი გარემო მოიცავს: ხელშემწყობ სამართლებრივ, ინსტიტუციურ და ადმინისტრაციულ ჩარჩოს; მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას და უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის დაუსჯელობის აღმოფხვრას; ძლიერ და დამოუკიდებელ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტს; დაცვის ეფექტიან პოლიტიკას და მექანიზმებს, რომლებიც აქცენტირებას ახდენენ რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებზე; ქალთა უფლებებსა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე პირების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას; არასახელმწიფო აქტორების მხრიდან უფლებადამცველთა მიერ შესრულებული სამუშაოს პატივისცემას და მხარდაჭერას; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანოებზე უსაფრთხო და ღია წვდომას; და უფლებადამცველთა ძლიერ და დინამიურ საზოგადოებას.<sup>33</sup> ამდენად, ხსენებული გარემო მოითხოვს უფლებადამცველების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვას, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის უფლებით სარგებლობისთვის აუცილებელი სხვა ფუნდამენტური უფლებების<sup>34</sup> რეალიზების უზრუნველყოფას.<sup>35</sup>

#### 4. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი უფლებადამცველთა დაცვაში

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებს, რომელსაც საქართველოში სახალხო დამცველის აპარატი მიეკუთვნება, მინიჭებული ფართო მანდატის გათვალისწინებით,<sup>36</sup> შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ უფლებადამცველთა დაცვაში. წინამდებარე თავში განხილულია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელისა (ENNHRI) და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის (GANHRI) მიერ განსაზღვრული ღონისძიებები, რაც ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა, მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეიძლება გამოიყენონ ამ მიზნის მისაღწევად.

<sup>32</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, რეზოლუცია ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ, 12 აპრილი 2013, A/HRC/RES/22/6, პარ. 2, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2xPAPV6>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>33</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის მოხსენება, 23 დეკემბერი 2013, A/HRC/25/55, პარ. 61, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://undocs.org/A/HRC/25/55>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>34</sup> მათ შორის, გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, გადაადგილების თავისუფლება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

<sup>35</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, პარ. 24. გვ. 30.

<sup>36</sup> იხ. ეროვნული ინსტიტუტების სტატუსთან დაკავშირებული პრინციპები (პარიზის პრინციპები), გაეროს გენერალური ასამბლეის 1993 წლის 20 დეკემბრის 48/134 რეზოლუცია, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2UWQWyg>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

#### 4.1. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) პუბლიკაცია

2018 წელს გამოიცა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) პუბლიკაცია - „ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და უფლებადამცველები“ რომელშიც გაწერილია ის საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც ინსტიტუტებმა უნდა დაიცვან უფლებადამცველები და ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას.<sup>37</sup>

##### 1. მონიტორინგი და ანგარიშგება

მონიტორინგისა და ანგარიშგების საშუალებით, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები აგროვებენ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, აფასებენ, დაცულია, თუ არა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები ეროვნულ დონეზე და შესაბამის მიგნებებს უზიარებენ როგორც რელევანტურ სახელმწიფო უწყებებს, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალურ და საერთაშორისო მექანიზმებს. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს უწყობს რეგიონალური და საერთაშორისო აქტორების მხრიდან ხელისუფლების მიმართ შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

ეფექტური მონიტორინგის ფარგლებში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ინდიკატორები და ჩაშლილი მონაცემები.<sup>38</sup>

საყურადღებოა, რომ გაეროს წევრი ქვეყნების მიერ შეთანხმებული მდგრადი განვითარების<sup>39</sup> მე-16 მიზნის (მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე) შესრულების ერთ-ერთი ინდიკატორი (16.10.1) ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების აღრიცხვას/გაზომვას.<sup>40</sup> აღნიშნული ინდიკატორი შესაძლოა გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა მონიტორინგისა და ანგარიშგებისას, რათა გააძლიერონ უფლებადამცველთა დაცულობა ეროვნულ დონეზე.

##### 2. რეკომენდაციების და წინადადებების წარდგენა საკანონმდებლო და აღსრულების დონის დიებთან დაკავშირებით

<sup>37</sup> ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი (ENNHRI), ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და ადამიანის უფლებათა დამცველები, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული სივრცის ხელშეწყობა ევროპაში, 2018, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2pkGnJH>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>38</sup> ინფორმაციის ანალიზის პროცესში, შესაძლებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული მონაცემების მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3dVe7lt>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>39</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 რეზოლუციით დამტკიცებული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტი, სახელწოდებით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://undocs.org/A/RES/70/1>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

<sup>40</sup> იხ. გაეროს გენერალური ასამბლეის 2017 წლის 6 ივლისის რეზოლუციით (A/RES/71/313) დამტკიცებული გლობალური ინდიკატორების ჩარჩო მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მიზნებისა და ამოცანებისთვის, მიზანი 16, ამოცანა 16.10, ინდიკატორი 16.10.1 ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://undocs.org/A/RES/71/313>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020]. აღნიშნული ინდიკატორის შინაარსის განმარტებისთვის, იხ. ინფორმაცია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3bSNtYp>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები ახდენენ არსებული კანონმდებლობის, აღსრულების ღონისძიებების, პოლიტიკის და პრაქტიკის შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციებით თუ წინადადებებით მოითხოვენ ცვლილებების გატარებას ან ახალი ზომების მიღებას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა, ხსენებული ფუნქციის სრულფასოვნად შესრულების მიზნით, შესაძლოა სამართლებრივი დახმარების გაწევის თხოვნით მიმართონ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს (OSCE/ODIHR), რომელიც, მსგავს შემთხვევაში, გასცემს სამართლებრივ მოსაზრებებს დემოკრატიათა, კანონის უზენაესობათა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტებისა თუ კანონპროექტების შესახებ. ხსენებული მოსაზრებები ინსტიტუტებს აგრეთვე ეხმარება კანონმდებლობის აღსრულების შეფასებაში.

### ***3. ინდივიდუალური საჩივრების განხილვა და სტრატეგიული სამართალწარმოება***

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები ინდივიდებს აწვდიან ინფორმაციას უფლების აღდგენის ხელმისაწვდომი საშუალებების თაობაზე. ზოგიერთი ინსტიტუტი უფლებამოსილია, გამოიძიოს, განიხილოს ინდივიდუალური საჩივრები, გასცეს რეკომენდაციები, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე იდავოს არსებული საკანონმდებლო მოწესრიგებისა თუ პრაქტიკის თაობაზე და ეცადოს მხარეთა მორიგებას. ზოგ მათგანს შესაძლებლობა აქვს, მესამე მხარედ ჩაერთოს საქმის განხილვის პროცესში როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონალურ სასამართლოებში, როგორცაა, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლიათ, ინდივიდუალური საჩივრების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ დამოუკიდებელ საერთაშორისო ორგანიზაციებს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი უფლებადამცველთათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას ხელს უწყობს ქვეყნებში ვიზიტების, ინდივიდუალური საქმეებისა და საჩივრების მიღების და ანგარიშების წარდგენის გზით. ევროპის დონეზე, ევროკავშირის მისია კონსულტაციას უწევს ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს უფლებადამცველთა მდგომარეობის მონიტორინგისა და ანგარიშების საკითხებზე. ამასთან, უფლებადამცველთათვის ეფექტიანი დაცვისა და მათი აქტივობების მხარდაჭერისთვის საუკეთესო გზების განხილვის მიზნით, ინსტიტუტებს ხვდება ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი.

### ***4. უფლებათა კულტურის მხარდაჭერა***

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები ხელს უწყობენ ადამიანის უფლებათა პრინციპებისა და სტანდარტების ფართო ცოდნას და პატივისცემას. ისინი ზრდიან საზოგადოების ცნობიერებას, მათ შორის, საგანმანათლებლო კამპანიების, გამოცემების და მედიის საშუალებით ინფორმაციის გაზიარების გზით. ამავდროულად, ისინი ახდენენ ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებათა დამცველების როლის შესახებ, მოქმედებენ ცილისმწამებლური კამპანიების წინააღმდეგ და ავრცელებენ ინფორმაციას დაცვის პროგრამებისა და მექანიზმების შესახებ, აგრეთვე, ადვოკატირების

გზით, მხარს უჭერენ უფლებადამცველებს, როდესაც მათი უფლებები ირღვევა ან არსებობს აღნიშნულის საფრთხე.

მხარდაჭერის კომპონენტში განიხილება ასევე ყოველწლიური პრიზების გადაცემა გამორჩეული პირებისა თუ ორგანიზაციებისთვის მათი მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის გამო.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა დამცველები კომუნიკაციისა და კოორდინაციისთვის ხშირად იყენებენ ონლაინ საშუალებებს. თუმცა, მათი მონაცემები (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები) შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს. ამის თავიდან ასარიდებლად, ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლიათ, მიაწოდონ მათ ინფორმაცია სანდო საშუალებების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების და მონაცემების დაცულობას, ასეთებია, მაგალითად [Security in-a-Box](#), [Surveillance Self-Defense](#) და [Umbrella](#). ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა თავადაც შეიძლება გამოიყენონ ციფრული საშუალებები, რათა იყვნენ უკეთ ინფორმირებულნი იმ ჯგუფთა მდგომარეობის შესახებ, რომლებიც სირთულეებს აწყდებიან ეროვნულ დონეზე. ასეთი პლატფორმა შემუშავებული აქვს ევროპის საბჭოს - [Platform to Promote the Protection of Journalism and Safety of Journalists](#).

#### 4.2. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის (GANHRI) მარაკეშის დეკლარაცია

2018 წელს, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის (GANHRI) მე-13 კონფერენციაზე მიღებულ იქნა მარაკეშის დეკლარაცია, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების შეთანხმებას უფლებადამცველთა საქმიანობის ხელშეწყობის, რისკების პრევენციის, მონიტორინგისა და პოპულარიზაციის მიმართულებით.<sup>41</sup> დეკლარაცია უფლებადამცველთა დაცულობის უზრუნველსაყოფად, ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

##### ხელშეწყობა

- ✓ სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტის რატიფიკაციისა და იმპლემენტაციის მოწოდება;
- ✓ რეკომენდაციების შემუშავება ეროვნული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებთან;
- ✓ ადამიანის უფლებათა დამცველების ეროვნული დამცავი სისტემების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მათთვის, ვინც საჭიროებს უსაფრთხო და ხელშეწყობ გარემოს. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ამ უფლებადამცველებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასთან, სხვა არასახელმწიფო გაერთიანებებთან და ინდივიდებთან (როგორებიცაა ეთნიკური, ადგილობრივი და რელიგიური ლიდერები) კონსულტაციის გზით;
- ✓ ადამიანის უფლებათა მნიშვნელობისა და უფლებადამცველთა (განსაკუთრებით ქალთა უფლებადამცველთა) როლის შესახებ პოზიტიური ნარატივის განვითარება. აღნიშნული უნდა

<sup>41</sup> დეკლარაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2qTgJw6>> [ბოლოს ნანახია: 05.04.2020].

განხორციელდეს შეტყობინებების ინოვაციურად და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით გავრცელებით, ახალგაზრდებზე ფოკუსირებით;

- ✓ ცნობიერების გაზრდა უფლებადამცველების შესახებ გაეროს დეკლარაციის თაობაზე, მისი თარგმნა და ფართო გავრცელება;
- ✓ სახელმწიფოს ხელშეწყობა უფლებადამცველთა შესახებ გაეროს დეკლარაციის იმპლემენტაციის კუთხით. აღნიშნული, მათ შორის, მოიაზრებს მოსამართლეების, სამართალდამცავებისა და სხვა მოხელეების გადამზადებისა (განსაკუთრებული აქცენტირებით ქალთა უფლებადამცველებზე) და უფლებადამცველების მიერ თვით-იდენტიფიცირების შესაძლებლობის უზრუნველყოფას;
- ✓ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა უფლებადამცველების დისკრიმინაციის წინააღმდეგ სტრატეგიების განვითარება;
- ✓ კერძო პირების ცნობიერების ამაღლება უფლებადამცველთა უფლებების პატივისცემის ვალდებულებების შესახებ და მათი ინფორმირება ამგვარი ვალდებულებების შესრულების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების/ქმედებების შესახებ.

### **დაცვა**

- ✓ (ონლაინ და ოფლაინ) სამოქალაქო სივრცის მონიტორინგი და ანგარიშგება ჩამოლილი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გზით;
- ✓ იმგვარი პოლიტიკის გატარების შემთხვევების იდენტიფიცირება, რომლებიც არაპროპორციულად ზემოქმედებენ უფლებადამცველებზე და სამოქალაქო სივრცეზე;
- ✓ ინსტიტუტში ადრეული გაფრთხილების ქმედითი და ძლიერი მექანიზმის შექმნა და საკონტაქტო პირების განსაზღვრას. ამ პროცესში, ყურადღება უნდა გამახვილდეს რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებზე. ასეთ მექანიზმებს უნდა ჰქონდეთ მყისიერი ქმედების მანდატი, შესაძლებლობა და კომპეტენცია;
- ✓ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონალურ სისტემებთან ინტერაქცია;
- ✓ უფლებადამცველთა (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომლის) დაშინების, მუქარისა და ანგარიშსწორების შემთხვევების შეტყობინება და ყველა ღონისძიების გატარება მათი დაცულობის უზრუნველსაყოფად;
- ✓ უფლებადამცველთა დაცვის ეროვნული, საერთაშორისო და რეგიონალური მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ✓ სასჯელადსრულების დაწესებულებების/დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, პრევენციული ვიზიტების განხორციელება, დაკავებულთათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა;
- ✓ უფლებადარღვევის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და ამ თვალსაზრისით, სასამართლო ხელისუფლებასთან მჭიდრო მუშაობა.

### **თანამშრომლობა**

- ✓ უფლებადამცველებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან რეგულარული ინტერაქცია და მათი ჩართვა საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში;
- ✓ სხვადასხვა ორგანიზაციებთან (ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები, მედია, სამეცნიერო საზოგადოება, ბიზნეს ორგანიზაციები, პროფკავშირები, სტატისტიკის ეროვნული ოფისები და საერთაშორისო ორგანიზაციები) თანამშრომლობის გზების ძიება;

- ✓ უფლებადამცველთა ეროვნული და რეგიონალური ქსელების შექმნისა და არსებულთა გაძლიერების ხელშეწყობა.

## 5. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მეთოდოლოგია უფლებადამცველთა დაცვისა და მათი საქმიანობის ხელშეწყობისთვის

საერთაშორისო ორგანიზაციების მითითებების, მარაკემის დეკლარაციისა და კანონმდებლობით მინიჭებული მანდატის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი უფლებადამცველთა დაცულობის უზრუნველსაყოფად, მიმართავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მედია საშუალებების და სოციალური ქსელების თვალის დევნება უფლებადამცველთა უფლებების დარღვევის შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით;
- შესაძლო უფლებადარღვევების თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით, რეგულარული კავშირის ქონა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვაგვარ ფორმალურ თუ არაფორმალურ გაერთიანებებთან და ცალკეულ აქტივისტებთან. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სათანადო საკომუნიკაციო საშუალებების/მექანიზმების იდენტიფიცირება/დანერგვა;
- პროექტიულად იდენტიფიცირებული ან/და მიღებული საჩივრების საფუძველზე, ცალკეული საქმეების შესწავლა უფლებადამცველთა უფლებების შესაძლო დარღვევის თაობაზე,
- განხორციელებული მონიტორინგისა და საქმეების შესწავლის შედეგად, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება, მიგნებების ასახვა ყოველწლიურ და სპეციალურ ანგარიშებში ან/და სხვაგვარ პუბლიკაციებში;
- საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს მეგობრის ფუნქციის შესრულება საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან კონსტიტუციური სარჩელით მიმართვა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის;
- უფლებადამცველთა მიმართ განხორციელებული შესაძლო სამართალდარღვევების თაობაზე სტატისტიკის წარმოება (ჩაშლილი მონაცემების შეგროვება უფლებადამცველთა ჯგუფების მიხედვით) როგორც აპარატის მიერ შეგროვებული მონაცემების გათვალისწინებით, აგრეთვე საგამომიებო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე;
- უფლებადამცველთა უფლებების დარღვევის თაობაზე საჯარო განცხადებების გავრცელება;
- იმგვარი საკანონმდებლო ინიციატივებისა და კანონპროექტების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენენ უფლებადამცველების უფლებებზე და მათ საქმიანობაზე;
- მუდმივი თანამშრომლობა საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან; მათ შორის, უფლებადამცველთა დაცულობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ მათთვის ინფორმაციის მიწოდება კითხვარების შევსებისა და ანგარიშების წარდგენის გზით; საჭიროების შემთხვევაში, მათთვის რეაგირების განხორციელების ან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით მიმართვა;
- უფლებადამცველთა როლის, უფლებების და დაცულობის სტანდარტის შესახებ ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.